

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ  
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის წლიური ანგარიში  
(2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ წლიურ (2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე) ანგარიშს:

ა) სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრში“ 2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია 15 განცხადება. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის სექტემბრიდან სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრში“ უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - MY.GOV.GE - მეშვეობით. აღნიშნული სერვისის საშუალებით ცენტრში 2016 წლის 10 დეკემბრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოვიდა 1 (ერთი) მოთხოვნა.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

ბ) საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრში“ შემოსული განცხადებებიდან,

1. საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიცა 11 შემთხვევაში;
2. 4 განცხადება განხილვის ეტაპზეა და მიმდინარეობს წარმოება.

ცენტრში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება 11-ვე შემთხვევაში მიიღო ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა, ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ხელაძემ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსული 15 განცხადებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან წარმოდგენილ იქნა 13 განცხადება, მოქალაქეების მხრიდან 2 განცხადება. ამასთან, შემოსული განცხადებებიდან არც ერთში არ ყოფილა მითითებული, რომ დაინტერესებული პირი წარმოადგენდა მედიასაშუალებას. შესაბამისად, მედიის მიერ ცენტრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ოფიციალურად არ ფიქსირდება.

გ) ცენტრში ცალკეული სტრუქტურული ერთეულები მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. ცენტრში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც მათი სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება.

2016 წლის 10 დეკემბრიდან 2017 წლის 10 დეკემბრამდე ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის დარღვევისა და დისციპლინური სახდელის დადების არცერთი ფაქტი არ გამოვლენილა.

ე) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ვ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ მოთხოვნებთან მიმართებაში სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

ზ) ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები.

პატივისცემით,

დირექტორი

თათია ხოჭოლავა